

„თეოლოგიის განხილვის საკითხის დასაწყისის საფორუმის სახელია...
 სადა უნდა დასრულდეს, თუ უნდა დასრულდეს... ყოველი
 სახელმწიფო, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში თუ სხვადასხვა
 დამფუძნებელი, ხაზინა-ხაზინად არის
 დაყოფილი, რომ მივდეთ და
 შევინახოთ ადგილი იქ.“

ხობის მოამბე

№1 (7096) 8 მარტი
 ხუთშაბათი, 2018 წელი.
 ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბავშვთა მრგვალი

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს 8 მარტი გილოცავთ!

კვირვასო დედებო, გილოცავთ დედის დღეს!
 მრავალჟამიერი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის დედაშვილობა, შვილების წინსვლით და წარმატებით გეხაროთ მუდამ!

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
 საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.

გილოცავთ ამქვეყნად ყველაზე უძვირფასესი, უსაყვარლესი, სათუთი და სათაყვანებელი არსების-დედისა და ქალის საერთაშორისო დღეს.
 მრავალი წლის სიცოცხლეს გისურვებთ.

ბორის ბერაია,
 ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი

კვირვასო ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის ღამაზე დღესასწაულებს. თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში ქალის როლი განსაკუთრებულია, ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და თავიანთი შრომითა და განათლებით მყარად იდგნენ ჩვენი სამშობლოს სადარაჯოზე. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, ქართველი ქალი კვლავაც რჩება გმირობისა და თავდადების ნიმუშად.

ქალბატონებო, გისურვებთ მხნეობას, ბედნიერი დღეების სიმრავლეს და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პატივისცემით,
გორჩა ქაჯაია,
 ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

კვირვასო ქალბატონებო! უდიდესი სიყვარულით გილოცავთ თქვენს უმშვენიერეს, გაზაფხულივით უღამაზეს დღესასწაულს... გისურვებთ ქალურ ბედნიერებას, კარიერულ წარმატებებს და ჯანმრთელობას. დაე, მუდამ ამშვენებდეთ და ახალისებდეთ ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას, რომლის დედაბოძი და მთავარი მოტივაცია თქვენ ხართ. ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში. ღმერთმა გაგაძლიეროთ და მოგმადლოთ ღირსეული დედობა, ოჯახური სიმშვიდე და ბედნიერი მომავალი...

ელიშერ ჯობაგა,
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

დედა!
 ყვლათყრს მაღალს, ყვლათყრს ღამაზს,
 ყვლათყრს კეთილს, ყვლათყრს მზიანს,
 შენი მაღლი და სუტნელი ახლაგს,
 შენი ბჟიტყასი სახელი ჰქვია.
 ბუჩქის ბიტს კბძალვით დაკბყენ იას
 ლუტჯი ყვავილით ბბმ გაგახატბნ,
 შენი ღიბილი სხივცვბილი მზყა,
 ბბმელიც ასყ სამყატბს აბბბბს.

ფშავ-ხეშუბეთის სულიერი მამა,
მიტროკოლიტი თადეოზი.

გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კონცერტი

2 მარტს, ქალაქ ხობის №1 საბავშვო ბაღში გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საბავშვო ბაღის დარბაზში შეკრებილი მაყურებლის წინაშე პედაგოგები, აღსაზრდელები და მშობლები სახალისო ნომრებითა და სიმღერებით წარსდგნენ.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოლო გაბუნია და მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გასართობ-შემოქმედებითი ღონისძიებები მთელი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.



ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სახლი

ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი

3 მარტი

დასაწყისი 16:00 საათზე



ჩვენს მუნიციპალიტეტში

ნობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ნობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაჯია. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის განკარგულების პროექტი „ნობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე“, რომლის თანახმადაც სამთავრობო კომისიის თანხმობის საფუძველზე საკრებულოს გადაწყვეტი-

გენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც როგორც საკრებულოსთვის, ასევე მერიისთვის განისაზღვრა იმ საჯარო ინფორმაციათა ნუსხა, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია და აუცილებელია ისინი განადგოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ელექტრონულ რესურსზე და ასევე განისაზღვრა დაინტერესებული პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის სტანდარტები.



ლებით ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალურ სტადიონს მიენიჭა გიორგი (გოგი) მამფორიას სახელი.

სხდომაზე ასევე განხილეს განკარგულების პროექტი „ნობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“. რომლის თანახმადაც მერს მიეცა თანხმობა ნობის მუნიციპალიტეტის ქ. ნობში ცოტნე დადიანის ქ. N188-ში საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ.

დადგენილების პროექტით „ნობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამდასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამდასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამდასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის უზრუნველყოფის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, როგორც პრივატიზების, ასევე სარგებლობის უფლებით გადაცემის წესი და პროცედურები.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილია დად-

სხდომაზე ასევე განხილულია განკარგულების პროექტი „ნობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიდგება სხვადასხვა საგზაო ნიშნები, კერძოდ:

ა) შუა ქვალონისა და ქვემო ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „უმლაგბაუმო გადასასვლელი“

ბ) ქვემო ქვალონისა და შუა ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი რკინიგზის გადასასვლელთან „მიახლოების ნიშანი“

გ) ნოჯიხევის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „უმლაგბაუმო გადასასვლელი“.

სხდომის დასასრულს საკრებულოს წევრებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტმა ბ. ნაჭყებამ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფოს მიერ აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დასრულდა გამოცხადდა.

სოფლის ხმაურებას აზიურ ფაროსანასთან ფაქოსანასთან ბიძოლის სხაბაბია ბანანს



აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგიასა და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მხარის რწმუნებული ლევან შონია და სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი, მუნიციპალიტეტის მერებს და სოფლის

რწმუნებულებს შეხვდნენ.

ლევან შონიამ ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სახელმწიფო მასშტაბურ ღონისძიებებს ჩაატარებს და ამ მიმართულებით სააგენტო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავაც კოორდინირებულად იმუშავებენ.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარდება მონიტორინგი და განისაზღვრება ქიმიური ღონისძიებების არაფაქტობრივი მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და მათი აქტიური ჩართულობა“- განაცხადა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

მაგნიტთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ შეხვედრები სხვადასხვა რეგიონებში პერმანენტულად იმართება.

ნობის მუნიციპალიტეტს ბანახლეული კულტურის სახლი ექნება

ნობის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, რომელიც ათეული წლებია განახლებას საჭიროებდა, დასრულების ეტაპზეა. რეაბილიტირებული კულტურის ცენტრი მალე, სრულად შეძლების ადგილობრივი თუ ეროვნული ღონისძიებების მასპინძლობას.



სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია. განახლდა შიდა და გარე ინტერიერი, შეიცვალა სცენა, მოეწყო მთავარი დარბაზი, საგრიმირო და სარეპეტიციო ოთახები.

შესრულებული სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავეიძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილესთან დავით კოდუასთან, ნობის მაჟორიტარ დეპუტატთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში, ასევე დამონტაჟდება განათების, გათბობისა და წყლის სისტემები.

რეაბილიტაცია ითვალისწინებს უსაფრთხოების სისტემების გამართვასა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობასაც.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 850 000 ლარია.

შენდება თხილის კლანტაციები

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ (KTW) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში ორ სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე, რომელთა ფართობი 93 და 114 ჰექტარს აღემატება, აქტიურად ახორციელებს თხილის კლანტაციების გაშენების სამუშაოებს. ამ ეტაპზე 80 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ირგვება თხილის ჯიშები. მიმდინარე სამუშაოებს ნობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაჯია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებული, როგორც „KTW“-ს ნობის წარმომადგენელმა კახა გვასალიამ აღნიშნა მუშა ხელთა რაოდენობა მომავალში უფრო გაიზრდება და უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.



ჩვენს მუნიციპალიტეტში

გზის საჩარბიანი საფარი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკუთრებაში



გიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავეიძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, სობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე დავით კოდუამ დაათვალიერეს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკუთრებაში დაწესებული საავტომობილო გზების დეპარტამენტი სობის მუნიციპალიტეტში, მორიგ მსხვილმასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს - შუა ხორგა-ქარიათა-ყულევის დამაკავშირებელი 16 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტის შესაბამისად შეკეთდა სახიდე გადასასვლელები და დაიგო ასფალტის ერთფენიანი საფარი. განხორციელდა მიერთების, კიუვეტებისა და ეზოებში შესასვლელების რეაბილიტაცია. ასევე, განთავსდა ახალი საგზაო ნიშნები. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 872 700 ლარით დაფინანსდა. სამუშაოზე 80 მუშახელი იყო დასაქმებული.



საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, სობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე დავით კოდუამ დაათვალიერეს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საკუთრებაში დაწესებული საავტომობილო გზების დეპარტამენტი სობის მუნიციპალიტეტში, მორიგ მსხვილმასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს - შუა ხორგა-ქარიათა-ყულევის დამაკავშირებელი 16 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში მთლიანად აღდგება გზის სავალი ნაწილი, დაიგება ასფალტ-ბეტონის ორფენიანი საფარი; მოეწყობა ეზოებში შესასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნები, ავტოპაკეტირების, ხელოვნური ნაგებობები, წყალგამტარი მილები, კიუვეტები, დამონტაჟდება სიჩქარის შემზღვევით ბარიერები და საგზაო ნიშნები.



პროექტის შესაბამისად 2200 მეტრ მანძილზე დაიგო ცემენტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა ეზოებში შესასვლელები და მილ-ხიდეები. დასაქმდა 30 მუშახელი სამუშაოს ღირებულება 560

სობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის აღმინისტრაციული ერთეულის საჩოკორაიოს უბანში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, გზის რეაბილიტაცია განხორციელდა. რეაბილიტირებული გზა სობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილე ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

000 ლარია. მიმდინარე წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით პირველი მაისის აღმინისტრაციული ერთეულის საკვიკინიოს უბანში გზის რეაბილიტაცია განხორციელდება, რისთვისაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით 920000 ლარია გამოყოფილი.

ნოჯიხევი გახსნის მუნიციპალიტეტის საჯარო ბაღს

სობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფლები: ნოჯიხევი, ნაფოშტუ, კუთხე ნოჯიხევი, ზენი, დასახლება) საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობა დასრულდა. კომპანია „სოკარ-ჯორჯია გაზი“ გაზგამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაციას ახორციელებს. ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად გაზიფიცირების (გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო/სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად) მიზნით, განცხადებით მიმართონ „სოკარ-ჯორჯია გაზის“ სობის მომსახურების ცენტრს. ქალაქი სობი, სტალინის ქუჩა №16, ტელეფონი: 0414 22 24 05.



საჯარო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა

სობის მუნიციპალიტეტის საჯარო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა.



საბავშვო ბაღი საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან შონიამ, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ და სობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ გახსნეს.

დაფინანსებით განხორციელდა და მისმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით 174 ათასი ლარი შეადგინა. სამუშაოზე 20 მუშახელი იყო დასაქმებული. საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან დღემდე აშენდა ერთი, ნაწილობრივ შეკეთდა 22 და სრულად კეთილმოეწყო 4 საბავშვო ბაღი.

პროექტის შესაბამისად განხორციელდა ბაღის სრული რეაბილიტაცია - კეთილმოეწყო შენობის ინტერიერი, ექსტერიერი, ეზო და სათამაშო მოედანი, შეიკვალა ელექტროგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემები. ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანა-

ქვემო ქვალონის ბაღში მზის ენერჯიაზე მომუშავე მოწყობილობა დამონტაჟდა

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მომავალი“ სობის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვით პროექტს - „საქართველოს რეგიონებში განსახლება ენერჯიაზე სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვისა და გავრცელების გზით“ ახორციელებს.



პროექტის შესაბამისად ქვემო ქვალონისა და საჯიჯაოს საბავშვო ბაღებში, ახალი ხიბულისა და ქარიათის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ოთხ ოჯახში) დამონტაჟდა მზის ენერჯიაზე მომუშავე წყალგამაცხელებელი კოლექტორი. ხეთის საბავშვო ბაღში კი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, დამონტაჟდება მზის ენერჯიაზე მომუშავე მოწყობილობა.

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მართავს და მათ, პროექტის მიზნებზე და ამოცანებზე აწვდიდნენ ინფორმაციას. „მწვანე მომავალი“ პროექტს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ორგანიზაციის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივ მოსახლეობასთან

ქალი ბუნების გვირგვინი ქალი-სიცოცხლის საწყისი

...საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ხალხი მუდამ ფაქიზად ექცეოდა და შარავანდედით მოსავდა დედის მშობლიურ ამბავს, მის სათნო სიტბოს და სიყვარულს. სწორედ ამიტომ, ხალხის ბრძნული აზროვნება ყოველივე მასაზრდოებელს და მაცოცხლებელს დედას უწოდებდა. ქალზე, დედაზე იყო და არის დამოკიდებული სიცოცხლის მოცემა, გამრავ-

სი მოვლენა კაცობრიობის გაჩენის დღიდან. თუმცა ისიც აღსანიშნავია: ბიბლიის (ძველი აღქმის) მიხედვით ღმერთმა შექმნა მიწისგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი, მერე ადამს ძილქუში მოჰგვარა, გამოუღო ერთი ნეკნი და ამ ნეკნიდან დედაკაცი შექმნა, რომელიც ადამს მოუყვანა. ეტყობა ხალხის ფანტაზია არ დააკმაყოფილა ბიბლიურმა თქმუ-

დაე, გუდაე იყოს მზე, დედა და მშვიდობა!

ლება, ადამიანთა მოდგმის გაგრძელება, რადგან თებერვალი ნაკიანი თვეა, სწორედ 3 მარტიდან იწყება გაზაფხულის პირველი დღე, როგორც ბუნებისა და კაცთა მოდგმაში სიცოცხლის საწყისის სიმბოლო.

ხალხის ბრძნულმა ფანტაზიამ დედის სიყვარულის ღირსების ასამაღლებლად მრავალი გონებამახვილური თქმულება შექმნა. ერთერთის მიხედვით, უზენაესმა სულმა რაბიალუმ ქვეყნად პირველი მამაკაცის მუდმივ თანამოსაქმედ პირველი ქალიც შექმნა, მაგრამ არა თიხისგან, არამედ ნაზ ბალახთა თრთოლვისგან. ლამაზ ყვავილთა სიტკბოსგან და სურნელებისგან, თაფლის სიტკბოსთან ამაყი ჯეირანის ხედვისგან, ბრწყინვალე მზის სხივებისგან, ქარის სისწრაფისგან, მერცხლის ლაზათისგან, ალამაზის სილამაზისა და გვრიტის სინაზისგან.

ამ დღიდან, რაც კი ადამიანთა მოდგმაში კარგი და ძვირფასია, ლამაზი და მშვენიერია, დიადი და სათნოა, ბრწყინვალე და ტკბილია, დედისგან მომდინარეობს, რადგან იგი თავის არსში ბუნების სილამაზესა და მშვენიერებას მოიცავს და შთამომავლობას გადასცემს. ამიტომაც დედა უზენაე-

ლებამ და თვითონვე შექმნეს სხვადასხვა ფოლკლორული ვარიანტები. რადგან ბუნების სილამაზე ადამიანთა ყველა მოდგმის მრავალმხრივი აღზრდა-ფორმირების დაუშრეტელი წყაროა, ეს ლეგენდაც ამიტომ დაიწერა.

ადამს რომ თავი დავანებოთ, რომელიც ამბობს დედაკაცი ძვალთაგანი და ხორცი, ჩემი ხორცთაგანიაო. ამქვეყნად დედის სიყვარული ის წმინდათა წმინდა გრძნობაა, ურომლისოდაც ძე ხორციელი არ არსებობს, ამიტომაც ყვავილი რომ ყვავილია ისიც დედური სიყვარულის ძახილს, ამოჰყავს მიწის მკერდიდან.

სწორედ დედაა, ის მტკიცე ძაფი, რომელიც სამყაროსთან გვაკავშირებს—ისინი ხომ ჩვენზე ფიქრსა და ზრუნვაში გავლილი წლების ანარეკლია და ამიტომაც თითოეული თქვენი ნაოჭის ღარი სათუთია ჩვენთვის. „ვიდრე დედა გყავს არ დაბერდები“—გვეუბნება ხალხური სიბრძნე და ჩვენი გულისთვის მშობელი დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს.

დაე მუდამ იყოს მზე, დედა და მშვიდობა!

ნაირა ბერაია.

ვისაც დედის ხათრი აქვს

მატყის დღემს მთელიმცაუთ
ღიმლიანს, დატყიანს,
დედის სათლავს დაგილმცაუთ
ტყმლიანს და დატყიანს.

ძვეყნად მშობელს—მკვდატს თუ ტმცხალს
ყულას შვილის დატყი ატყს,
ჭმდა, ყულას გატყმატყადს
ვისაც დედის ხათტი ატყს!

ნაირა ბერაია.

ბლიც ინტერვიუ

რ ჩე უ ლ ი



სახელი—თეა
გვარი—გელანტია
საქმიანობა—საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?
—ყველაზე ლამაზ და ჩემთვის მნიშვნელოვან დღედ მიმაჩნია დღე, როცა გაეხდი დედა.

რას ინატრებდით?
—ვინატრებდი, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ეკონომიურად ძლიერ საქართველოს.

სურვილი რომელიც ვერ აისრულეთ?
—ამას საიდუმლოდ დავტოვებ.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?
—ჩემს ცხოვრებაში გადატანილი ტრაგედიის ტკივილის ხელახალ განცდას არ ვისურვებდი.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ
—ბუნებრივია, ჩემი ოჯახის გარეშე.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?

—ვარ ძლიერი, პრინციპული, პირდაპირი.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?
—ზედმეტად ვენდობი ადამიანებს.

რისი გჯერათ?
—პირველი რიგში უფლის, კეთილგონიერების და სიკეთის.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?
—არავის ვუღალატებდი.

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?
—ადამიანში შინაგანი ღირსება და სულის სისუფთავე.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?
—არ განვარისხო უფალი.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?
—ვებრძვი და მებრძვის ცხოვრება.

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?
ყოველთვის უნდა გახსოვდეს წარსული, იცხოვრო აწმყოთი და გწამდეს მომავლის.

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?
—მართალი გითხრათ პოლიტიკასთან ჩემი ურთიერთობა მხოლოდ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საინფორმაციო გადაცემების მოსმენით შემოიფარგლებოდა, თუმცა მივხვდი, პოლიტიკაში ყოფნით შესაძლებლობა გექმდებოდა ადამიანებისთვის სიკეთე აკეთო.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?
—ჯანსაღი ოპოზიცია ყოველთვის გვაძლევს მოტივაციას უკეთესი საქმეების კეთებისა.

სობის მუნიციპალიტეტის საპრემიერო აპარატი.

ჩანახატი

მე რომ მხატვარი ვიყო...

მე რომ მხატვარი ვიყო, ალბათ ხატვას იმ საგნებიდან დავიწყებდი, რომელშიც რაღაც უცნაურ ყველაზე განსხვავებულ სილამაზეს დავინახავდი. დავინახავდი იმ ერთმანეთში გარდაქმნილ ფერებს, რომელიც სიმბოლურად იკითხება ჩემს მხდველობასა და ფანტაზიაში.



ასეთი ულევო, დაუშრეტელი და დაუცხრომელი ხომ ისევ და ისევ გაზაფხულშია...

ეს არის სიცოცხლის გამოფხიზლების, ბურუსიდან ბუნების გამოსვლისა და სიყვარულის გაღვივების პერიოდი, რომელსაც გაზაფხულს გვაგრძნობინებს.

ბავშვობაში ჩემთვის გაზაფხული წელიწადის რიგითი და უმნიშვნელო პერიოდი იყო, როგორც სხვა დანარჩენი. მაგრამ დრო გავიდა. ჩემი ფანტაზია, ბუნებისადმი სიყვარული და სამყაროსადმი რეალური თვალთახედვა შორს წავიდა.

დღეს ვდგავარ და ვუცქერი იმ სიცოცხლის ნაპერწკალს, რომელსაც გაზაფხული ჰქვია. ნუთუ შეიძლება იყოს რაიმე იმაზე ლამაზი, უყურო დააკვირდე და იგრძნო, თუ როგორ იღვიძებს ბუნება, ირგვლივ სიყვარულისა და სიცოცხლის სურნელი ტრიალებს, მზე კი ნელ-ნელა აპარებს სხივებს დედამიწისკენ, რათა ზამთრის პირქუში ძილი მკაცრად არ დაუფრთხოს, და მოფერებით ამცნოს გაზაფხულის შემობრძანებას.

ეს ხომ სწორედ ის საოცრებაა, რომლის დახატვაც ფერადი ფანქრებითა და სიტყვებით შეუძლებელია.

ეს არის სიცოცხლე, სიმდიდრე ცხოვრებისა, რომლის მხოლოდ ცქერა და ამ ცქერით დაბნეულთ დუმილი შეგვიძლია...

მე რომ მხატვარი ვიყო, ალბათ, ასეთ სილამაზეს ვერასოდეს დავხატავდი...
ნაირა ბერაია.

სობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის აღმოსავლელი ბიუჯეტი

10

Table with 8 columns: Code, Description, and numerical values. Rows include categories like 'კატორღი ფეხურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობა' and 'კულტურული ტრადიციების დაცვის ხარჯები'.

Table with 8 columns: Code, Description, and numerical values. Rows include categories like 'კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა' and 'სოციალური უზრუნველყოფა'.

Table with 8 columns: Code, Description, and numerical values. Rows include categories like 'მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და წერნიბილი დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები' and 'მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი) დედა-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი'.



გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ!



ამაგდარი

ნი ეთერი დარჯანია-დემანია უკვე სამოც წელზე მეტია ხალხის ჯანმრთელობის სამსახურშია. ასეა დღიდან-დღემდე, თვიდან-თვემდე, წლიდან წლამდე, ჯანმრთელობის სადარაჯოზე მუხლჩაუხრელად შრომობს, დააბიჯებს სოფელში საველე გულითა და თავისი პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით.

მრავალ გაზაფხულს-ქალბატონო ეთერი. თქვენ ზომ გაზაფხულზე დაიბადეთ, 12 მარტი თქვენი დაბადების დღეა, თქვენი ასაკი რვა ათეულ წელიწადს ითვლის. დიდხანს იცოცხლეთ-ერთხმად იმეორებენ დიდი მადლიერებით გამსჭვალული ადამიანები, თქვენი თანასოფლელები.

ამ მშვენიერი ვაჟკაცური ქალბატონის სულის სალარო მუდამ სასიკეთოდ იხარაჯება. მისი თბილი სიტყვაც კი ამშვიდებს, კურნავს და რწმენით ავსებს

ავადმყოფს. ქალბატონი ეთერი გახლავთ მეგრული ტრადიციული მისაბადი ოჯახის შვილი. თავად დღეს სამი ქალიშვილის, ექვსი შვილიშვილისა და ცხრა შვილთაშვილის დედა, ბებია და დიდი ბებია.

მიუხედავად ასაკისა, დაღლას არ გრძნობს, ერთმანეთს უთავსებს ოჯახს და სამსახურს. დარში თუ ავდარში, დღისით თუ ღამით, უბანში თუ მდინარე რიონის სოფლის გაღმა-გამოღმა ძალღონეს არ იშურებს ავადმყოფის დასახმარებლად. ყველას ჭირისა და ღვინის მოზიარება.

ქალბატონო ეთერი! გილოცავთ 80 წლის იუბილეს, მრავალ გაზაფხულზე გეზემოთ ეს ღამა-ზიღვე თქვენს დიდ ოჯახთან ერთად. კვლავაც დიდხანს იცოცხლეთ ჩვენს იმედად და გასახარად.

თანასოფლელები

გაზაფხული სიცოცხლის აღორძინების უამრავი წელიწადის ამ განსაკუთრებულ დროს ემთხვევა დედის დღისა და 8 მარტის დღესასწაულები. ორივე დღესასწაული ქალს უკავშირდება. ქალი კი სიცოცხლის საწყისის სიმბოლოა. საბედნიეროდ ჩვენს ირგვლივ არიან ქალბატონები, რომელთაც ახალი თაობა აღიქვამს როგორც მისაბადსა და სამაგალითოს.

სოფელ ჭალადიდში ქალბატონი

დედა... დედაშვილობა... ქვეყნად მეტად ძვირფასი და საყვარელი სიტყვა და სახელი... ბედნიერი ბავშვობა, მრავალი განვლილი წლები, დედა მაინც დედაა, დედა-ბოძია. ჩვენს გულში დედას ყოველთვის ექნება

მოლოცვა და მოფერობა დედას!

მუდმივი, თავისი ადგილი, რადგან შვილები მისი ორგანიზმის ნაწილი, სული და ხორცი ვართ.

რა ასაკის უნდა იყოს დედა, ის მაინც ყოველთვის სათუთია, ფაქიზი, ძლიერი და ზოგჯერ მკაცრიც. ჩვენთვის ცხოვრობენ, შრომობენ, რომ ვიყოთ სამაგალითონი და წარმატებულნი.

გამოვხატავ თბილ სიყვარულს ყველა დედის მიმართ. იცოცხლონ, იღლებოდნენ, იყონ მხნედ და იხარონ შვილებთან ერთად.

რა არის იმაზე უკეთესი, ვიდრე შვილი დედას ეუბნება: „ჩემო საყვარელო დედიკო“ და გულში იხუტებს, როცა სტკივა დედას უხმობს, ეძეხის და მისგან იღებს შვეპას.

მინდა ჩემს დედიკოს ირა სიხარულიას მივულოცო დედის დღე. დედაც, იყავ ბედნიერი, შენ მარტო ჩემი დედა კი არა, ხარ მასწავლებელი მრავალი თაობის...

დედაც, დედებო, გეფერებით, ღმერთსა ვთხოვ, რომ ყველა დედა იყოს ბედნიერი და დალოცვილი, რადგან დედა ჩვენი ფარია.

ნინო შაჩულია,
ზემო ქვალონის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

სობელი სპორტსმენების წარმატებები

საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდაში (თბილისი)

18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 60 კგ წონით კატეგორიაში ჭაბუკებს შორის დიტო ბუკიამ ოქროს (მარჯვენა მკლავი) და ვერცხლის (მარცხენა მკლავი) მედლები მოიპოვა.

21 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 55 კგ წონით კატეგორიაში ანრი ბუკიამ ბრინჯაოს (მარჯვენა მკლავი) მედლის მფლობელი გახდა.

21 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 60 კგ წონით კატეგორიაში გიგა კოლუამ ოქროს (მარცხენა მკლავი) და ვერცხლის (მარჯვენა მკლავი) მედალი მიიღო.

21 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 60 კგ წონით კატეგორიაში დათუნა უიშკარიანმა ჩემპიონის ტიტული (მარჯვენა მკლავი) და ვერცხლის მე-



დალი (მარცხენა მკლავი) მოიპოვა.

21 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 70 კგ წონით კატეგორიაში გონა სიჭინავა ოქროს (მარცხენა მკლავი) და ვერცხლის (მარჯვენა მკლავი) მედალებს დაეუფლა.

დიდებს შორის 65კგ. ვილენ გაბრავამ ვერცხლის მედალი

მოიპოვა (მარჯვენა მკლავი). გონა სიჭინავა ვერცხლის მედალის (მარცხენა მკლავი) და ბრინჯაოს მედალის (მარჯვენა მკლავი) მფლობელია.

აბსოლუტურ წონაში გენადი კვიციანიამ ოქროს მედალი (მარჯვენა მკლავი) მოიპოვა. მწვრთნელი კობა თუთბერიძე.

რესპუბლიკური ტურნირი - (თერჯოლა)

თერჯოლაში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2003-2005 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების და ხობის სასპორტო სკოლის 215 მოსწავლე მონაწილეობდა. ხობელმა ნორჩმა სპორტსმენებმა ტურნირი დაასრულეს შემდეგი შედეგებით:

მიშიკო ალექსანდრია-38 კგ. წონითი კატეგორია I ადგილი; გოგა უბილავა-41 კგ.-II ადგილი; კოკა თორქია 35 კგ.-III ადგილი. დავით გვასალია-38 კგ.-III ადგილი;

ცოტნე ბუკია-38 კგ.-III ადგილი; ლუკა ხელია-38 კგ.-III ადგილი; ვახო ლოლუა-32კგ.-III ადგილი; მალხაზ კვარაცხელია-35 კგ.-III ადგილი.

კულციკო ახალგაზრდა ჩემპიონებს ამ წარმატებებს და შემდგომ გამარჯვებებს ვუსურვებთ.



მოამზადა ნაირა ბერაია

საქართველოს ჩემპიონატს მკლავჭიდაში საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი ირაკლი (დაჩი) ბერაია შვილებთან ერთად ესწრებოდა და გულშემატკივრობდა სპორტსმენებს.

ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი, სასპორტო სკოლის მწვრთნელები და სპორტსმენები დიდ მადლობას უხდებიან ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერიას მხარდაჭერისთვის, გამხნეებისა და გვერდში დგომისთვის.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა საქართველოს ტურნირი-(კიევი)

კიევში გამართულ 22-ე საქართველოს ტურნირზე დიდებს შორის საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედალი ნუგზარ წურწუშიამ (55 კგ) მოიპოვა. ტურნირში მსოფლიოს 28 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მწვრთნელები ალმასხან ხუნჯუა, ბაკურ ბუკია, სურაჯი გვასალია.

სობის მუნიციპალიტეტის პედაგოგიური ორგანო
გამომცემელი: სობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლავგილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა-ჯულიეტა ლატარია. გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა სობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრში.
 ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
 დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
 გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.